

მარტოვური

№ 64

გაზეთის ფასი 40 კპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან., ცალკე ნომერი ყველგან 40 კპ.	ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома“, Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
გაზაფხულის ფასი: პირველ გვერდზე პეტით სტრიქონი 1 მან., მეორეზე 80 კპ. სამკლავი გაცხადება 15 მან.	რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება დღის 10—11 საათამდე.

ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ იწახავს.
რედაქციის მისამართი: Тифлис, Редакция газ. „Шрома“, Баронская ул. № 16.

ორგანო საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტ. ცენტრალური კომიტეტის

საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის უკუღაორგანიზაციებს

ამხანაგებო!

თანხმად ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, ამა წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში

დანიშნულია საქართველოში მომქმედ სოც.-რევ. პარტიის ორგანიზაციების

მეორე ყრილობა.

დღიური წესრიგი:

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება.
2. საპარლამენტო ფრაქციის მოხსენება.
3. მთავრობაში წარმომადგენლის მოხსენება.
4. პროგრამული საკითხები (მიწის, მუნიციპალური და სხვ.).
5. პარლამენტი და პარლამენტარიზმი.
6. პარტიის ტაქტიკა.
7. ახალი საორგანიზაციო წესდების შემუშავება.
8. ინტერნაციონალი.
9. პარტიული პრესა.
10. დამფუძნებელი კრება (კანდიდატთა სიის შედგენა, საარჩევნო კომპანია).
11. ფინანსები.
12. პარტიული მუშაობა.
13. მოხსენებები ადგილებიდან.
14. მიმდინარე საკითხები.
15. ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

წარმომადგენლობა: ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო წარმომადგენელს. ორგანიზაციები, რომლების წევრთა რიცხვი 200 აღემატება, ყოველ 200-ზე გზავნიან თითო წარმომადგენელს.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

ახალი კლუბი

(სახანძრო ქ. იბა)

ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, სოციალისტ-რევოლუციონართა პარტია „მარტოვური“ ფონდის გასამდივრებლად

გაიშარტება

სივრცისური

კონცერტი

ა. ა. ცენოვსკის ხელმძღვანელობით

მონაწილეობას მიიღებენ ოპერისა და დრამის მსახიობნი: ბ. ბ. ზადაძე, ვ. ვ. ვინაიანი, ს. ს. სკვარცხელია, ს. ს. სანაძე, ე. ე. ევსევი, ზ. ზ. ზადაძე და სხვა.

როილთან: ა. ა. ცენოვსკი, კ. კ. კონცერტი

კონფერანსი სერ გრიფ

ამერიკული აუქციონი

პასუხისმგებელი გამგენი: ქა. შ. ლომთაძე-ბაბინის და ექიმი ა. აბაქელია.

მ. თბილისი, 30 ოქტომბერი.
როგორც კარგად იცნობენ, ტელეგრაფიდან სწავს, არარატის რესპუბლიკის მთავრობა დასთანხმდა ჩვენი მთავრობის წინადადებაზე, რომ ბორჩალოს კონფლიქტის ლიკვიდაცია მოხდეს მშვიდობიანი გზით. ეს ამბავი, უეჭველია, ყოველ შემგნებულ მოქალაქეში და დემოკრატიის გულწრფელ მოამბეში გამოიწვევს ღრმა კმაყოფილების გრძობას.
სადაო საკითხი საზღვრების შესახებ გადაცემა საგანგებო კომისიას, რომელმაც ეს საკითხი საბოლოოდ უნდა გამოარკვიოს და გადაწყვიტოს. ამანორად გონებამ და ომისგან მოსალოდნელ საერთო და აუცილებელ უბედურების შეგნებამ თავისი გაიტანა.

ისტორიული სვალაგ-ლოგა.

ოთხი წლის წინათ ატყდა საშიშრეული, გამანადგურებელი საერთაშორისო ომი. შავი ღრუბლებით დაიბურა ევროპის ცა. სისხლისწიღვარმა მორწყა დედამიწა. გაიჭიმა უღვევილი რიგი მსხვერპლთა ნაკადული. სიცოცხლე — ეს უდიდესი ღირებულება, უმიზნო და უმეზობრეობა ეწირებოდა ომის ღმერთს. ათასი წლობით ნაკეთები კულტურული განძები, წარსულ თაობათა განუზოგელი მუშაობით და ტანჯვით შექმნილი ღირებულებანი, — ყველაფერი ეს უგნურათ მიეცა ცეცხლს.

მრავალ ათას და მილიონ ადამიანთა ერთ დონაზე დალაგებული მოქალაქეობრივი ცხოვრება, საზოგადოებრივი თუ პირადი განწყობილებანი ძირიან ფესვიანათ შეარყია და მოშალა ძლიერმა ქარიზხალომა.

შეიქმნა აუტანელი ატმოსფერა, ადამიანი — ეს უმალესი და გონიერი არსება მოზღვაკებული სტიქიის სათამაშო ბურთად გადაიქცა. ბევრი მწვევით გრძობდა შექმნილდგომარეობის უზარობას, მის სრულ უმიზნობას. მაგრამ ისინი უძლეული იყვნენ შებრძოლებოდენ ცხოვრების ზედაპირზე მოტივტივებულ ძალებს. მოვლინებული ქარიზხალი იმდენათ ძლიერი და დიდი იყო თავის გამანადგურებულ მსვლელობაში, რომ მრავალი ძლიერი გონება დემონა მას, ვერ დაღა შექმნილ მდგომარეობის სწორ დაფასების სიძალეზე. ომის პირობა თავისი ძლიერი გავლენა იქონია მათზე.

ის მკორე ძალები, რომლებსაც შერჩათ სლი აზროვნების უნარი და მოვლენათა სწორი დაფასების ნიჭი — არარობას წარმოადგენდენ შედარებით იმ ბნელ ძალებთან, რომლებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ შექმნილ ტრაღედიაში.

ისტორიული ქანის არსებითათ შესაცვლელათ საჭირო იყო, რომ იმპერიალისტურ ძალებს ამოეწურათ თავისი ენერჯია და მიწიუმამდე დაეყვანათ თავისი კინეტიური ძალა, ამასთან ერთად საჭირო იყო, საღი ელემენტების და მიმდინარეობათა სათანადო ზრდა-განვითარება. საჭირო იყო მათი გაძლიერება იმ ზომამდე, რომ მათი ჩარევით შესაძლებელი გამხდარიყო წარმოებულ კურსის, პოლიტიკის შეცვლა და ასეთი პროცესი წარმოებდა. პირველათ ძალების შესუსტება იგრძნო იმ სახელმწიფომ, რომელიც სხვაზე უფრო ნაკლებათ იყო აღჭურვილი იმ იარაღით, რაიც დღეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს განვითარებულ სახელმწიფოთათვის.

ეს სახელმწიფო იყო რუსეთი. სხვაზე ნაკლებათ მომზადებული, ის სხვაზე ადრე დაეცა უთანასწორო ბრძოლაში. მესამე ძალამ შესძლო აქ-მეცლის დახმობა. ის თვით ჩაუდგასოთავეში სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ეს, რა თქმა უნდა, არ აიხსნება მარტო მესამე ძალის ძლიერებით და მომზადებით; არა, ამის მიზეზები ჩვენ უნდა ვეძიოთ აგრეთვე თვით რუსეთის მმართველ წრეების უძლეურობაში.

რუსეთში მოხდა რევოლიუცია. მოხდა ძალთა სრული გადაჯგუფება. ამ მოვლენას თავის თავად უნდა მოყოლოდა საერთო პოლიტიკის შეცვლა. ეს ასეც იყო. რუსეთის დემოკრატია დაადგა გარკვეულ რევოლიუციონურ და დემოკრატიულ გზას. მან პირველათ აღიშალა ხმა არსებულ ვითარების წინააღმდეგ. მან პირველათ შეანათა ბურჟუაზი მოკულ კაპობრიობის აზროვნებაში.

რუსეთის რევოლიუცია იყო პირველი და ძლიერი ყუშბარა, რომელმაც შეანგრია იმპერიალიზმის კედელი. მაგრამ, ევროპის იმპერიალისტური ძალები იმდენათ ძლიერი გამოდგნენ, იმდენი დაუშრეტელი ენერჯია აღმოაჩნდათ კიდეც მათ, რომ რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებული ყიჟინა, და ბრწყინვალე იდეალები ამ ხნობით უძლეული გამოდგა მის გასანადგურებლათ.

დასავლეთ ევროპის დემოკრატია არ იყო ამ დროისთვის საქმათ გამოფხიზლებული და გაძლიერებული. აქ ბრძოლა ძველისა ახალთან უფრო სხვა ტემპით სწარმოებდა. აქ დემოკრატის საქმე ჰქონდა სახელმწიფო ყუობილების ძლიერ მექანიზმთან, ძლიერ ფორმებთან. იმპერიალისტური სულისკვეთება აქ კიდევ მაგარი იყო.

იმპერიალიზმი აქ ჯერ კიდევ ჯანსაღათ გრძნობდა თავს.

ამიტომ რუსეთის რევოლიუციის ცეცხლმა საესებით ვერ გასწვა დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის კედელი. რუსეთის რევოლიუციამ ისეთი მიზანი დაისახა, რომელიც ადემატებოდა მის ძალებს. რევოლიუციამ მაინც თავისი ძლიერი გავლენა მოახდინა. მან ენერჯია და იმედები შეჰმატა დასავლეთ ევროპის დემოკრატის, გამოფხიზლების გზაზე და აყენა ის. დიდი იმედები კი მას არ გაუშართლდა, რადგანაც მან ვერ ჰპოვა გამოხმაურება სხვა სახელმწიფოებში. მარტოთ მიტოვებული, რუსეთის ჩარჩოებში მომწყვდეული, იგი დაიწვა, და დაიწვა თავისი იდეალების განუხორციელებლათ. რუსეთის რევოლიუცია დამარცხდა. ისტორიული მსვლელობა კვლავ ძველი გზით მიმდინარეობს. მაგრამ დღითი დღე მზადდება ძველი ხაზის შესაცვლელათ ახალი კომბინაციები. თან და თან თავს იჩენენ ახალი ძალები და თავისი საქმიანობა შეიქმნენ ცხოვრებაში. სუსტდება და უძლეურობა იმპერიალისტური ძალები. თან და თანობით ენარცებიან მიწაზე ახალი და ახალი სახელმწიფოები. იმპერიალიზმს ძალები აკლდება. დემოკრატია ძლიერდება.

შეთანხმების სახელმწიფოების იმპერიალიზმი ებრძვის მოკავშირეთა იმპერიალიზმს. დემოკრატია კი თან და თან იღვძებს და ცდილობს თავი გაინთავისუფლოს იმპერიალიზმის კლანჭებიდან. დემოკრატიაში ძლიერდება მისწრაფება ინტერნაციონალურ გან-

წყობილების აღსადგენათ, ურთერთთან ძმური კავშირის დასაკავებლათ. იმპერიალისტები კი კვლავ მტრულათ ეკიდებიან ერთი მეორეს მათი შერიგება, მათ შორის კეთილ განწყობილების დაშარება არსებობათ შეუძლებელია. იმპერიალისტებმ არ იციან ძმობა და სოლიდარობა დღეს დღეობით მზადდება დიდ ცვლილებებში.

უფრო და უფრო ხმა მალდა გასმის საერთაშორისო დემოკრატიი ხმა. ძველი კონსერვატიული ძალები უკან იხევენ, სამოქმედო ასპარეზზე დემოკრატია გამოდის. მხოლოდ დემოკრატისა შეუძლია ზავეყვას. ჩვენ ვდგევართ დიდი ისტორიული ცვლილებების წინ.

კალმისტარი.

დეკემბერი

(საქართველოს დემოკრატიული საგენტო)

ბერლინი. 28 ოქტომბერი სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი კონპრინტ რუბრეტის არშია. ღირს აღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა. დენისის სამხრეთით და ლოგემის აღმოსავლეთით და შელდის სამხრეთით არტრთან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. ენგლ-ფონტენთან და ფამართან ტყვეთ ჩაგვივარდა ინგლისელები.

გერმანიის კონპრინტის არშია. ტომონისთან მტერი შეეცადა უაზის არხზე გადასვლა, მაგრამ ჩვენი წინააღმდეგობის გამო ვერ შესძლო. უაზისა და სერის შუა ჩვენი ჯარი, რომელიც ორინისა და ლაფორის შუა სექტორი ეჭირა, ჩვენ დაეწვიეთ გიზის დასავლეთ და კრესის აღმოსავლეთ ხაზზე. გიზის სამხრეთით მტრმა იერიში მოიტანა ძვენს ახალ ხაზზე. მტერმა მრავალი ჯავშნიანი ავტომობილი დაკარგა და ვაიძულეთ უკან დაეხია. სუჟის სექტორში, ფრუადმონის და პიერმინის შუა ფრანგების განახლებული იერიში დავამარცხეთ. გუშინ მდინარე ენის დასავლეთით მხოლოდ ადგილობრივ ხასიათის ბრძოლა სწარმოებდა. მდინარე ენის დასავლეთით და რეტელის სამხრეთ-აღმოსავლეთით რეილისთან ჩვენმა ჯარმა მოიგერია მტრის იერიში. ვუზიერის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. შესტრის აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ.

გალეციის არშია. მასის აღმოსავლეთ მალლობებზე კუზენეუას და ორნოიტის ტყესთან ჩვენ მოვიგერიეთ ამერიკელთა იერიში.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. ჯარის გადაჯგუფება წესიერად სწარმოებს. რუდუნის სამხრეთით, ტოპოლთან, ძლიერა ბრძოლა. მარნის ორივე მხარეზე უქნიშენლო ბრძოლაა.

ექნა. 28 ოქტ. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. ზიგენგენეინდში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ბრენტის აღმოსავლეთით, 60 კილ. ფრონტზე, ძლიერი ბრძოლა სწარმოებს. ბრენტის და პიავის შუა, მთებში, მტერმა დიდი ძალებით იე-

როში მოიტანა, რომელიც ჩვენ და-
ვამარცხეთ. ფონტანო-სეკას სახერ-
ეთით ჩვენ დავიბრუნეთ ძველი პოზი-
ციები და მტრის მრავალი ჯარისკა-
ცი წამოვიყვანეთ ტყვეთ. ამ ბრძო-
ლაში თავი ისახელა პოლკებმა: კლა-
გენფურტის № 7, დებრესტენსკის
№ 9, მარბურგის № 47, № 49 (და-
მახინჯებულთა), ეგერის № 73, ოსტ-
გალიციის № 120, უნგრეთის № 139,
უნგრეთის ბატალიონმა № 7, კრო-
ატის № 42, კროატის № 38 და
მხროლველმა. პოლკმა № 127 ოქტ.
ლამით მტერი იერიშით წამოვიდა
პიავაზე.

ვალდობიდან მტერმა შესძლო
მდინარის მარცხენა ნაპირზე მკირე
ტერიტორიის დაქვე. ბიგოლიონს-
თან და ვიდართან მტრის იერიში
მოვიგერიეთ. მტერმა შესძლო ვიდა-
არის ქვევით მდინარეზე გადასლა.
ჩვენმა ჯარმა კონტრ იერიშით შეუ-
ტია. საღამოთი ბრძოლა სწარმოგზ-
და ს. მორიაგოსა და სერნავლიესთან
იტალიელნი შეეცადნ მონტელის
მთის პირში წინ წაწევას. მაგრამ მტრის
ცდა დავამარცხეთ. ინგლისელებმა
პაპალოპოლის მხრიდან მიადრეს ტე-
ზეს და სან-პოლოს. ფალტიეკენში
ძლიერი ბრძოლა სწარმოგზ. პიავა-
ზე დილიდანვე განახლდა ბრძოლა.

ბალკანეთის ფრანტი. ალბანე-
თის ნაპირზე ალგისოსთან ბრძოლა.
დრინაზე შეტაკება ქონდა ჩვენ ჯარს
ძლიერ ბანდასთან. ჩვენი ჯარის
უკან დახვევა სერბიაში წესიერად
სწარმოგზ. გუშინ მტერთან შეტა-
კება გვექვედა მხოლოდ კრაგუევარის
სამხრეთით.

ბერლინი. საღამოს ცნობა.
23 ოქტ. ღირსსაღმარწმანი ბრძო-
ლები არ ყოფილა შედის სამხრე-
თით უზარის რაიონში, სუმის სექ-
ტორთან მტრის იერიშები მოვიგე-
რიეთ.

ახალი აგვაპი.

ცენტრალური სასურსათო საბჭოს
განკარგულებით დაინიშნენ: კახეთის
რაიონში თივის დამზადების საქმის
გამგე გ. ი. ტაბატაძე ცენტრალ-
ური სასურსათო საბჭოს რწმუ-
ნებულის მოვალეობის აღმა-
სრულებლათ ფურაქის დამზად-
ების საქმეში, ა. მ. კირტაძე
დროებითი კონტროლიორად ცენ-
ტრალური სასურსათო საბჭოს ბუხ-
გალტერიაში და ი. ნ. ბაშკიროვი
ამავე საბჭოს ბუხგალტერიის მონ-
გარიშეთ.

ბაღდათის განთავსება. ში-
შინობის მე 9 დღეს მთავრობის
თავმჯდომარის ნ. ყორდანიას და-
ვალეობით სოკოლოვმა გამოუცხადა
ბოლშევიკებს, რომ მთავრობა თანა-
ხმად განთავსდეს ისინი. შიშინი-
ლობა შესწყდა საღამოს 27 ოქტო-
ბერს. განთავსდებულ კომუ-
ნისტებს გადასახლებენ საქართვე-
ლოს საზღვრებიდან.

კულტურულ-განმანათლებელი
მუშაობა ვაგში. ჯარში კულტურულ-
განმანათლებელ მუშაობის ორგანი-
ზაციის გეგმის შესაქმნელათ სამხე-
დრო მინისტრმა დანიშნა კომისია
პოლკოვნიკ მაკავარიანის თავმჯდო-
მარეობით, რომელშიდაც წევრებათ
შედიან: პოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი,
პოლკოვნიკი ბოლგავეი, პოდპოლკ.
ოთხბეზური და საპიორნი ბათალიო-
ნის ექიმი ტყემელაშვილი.

მთიულეთი და ბაღდათი.
ჩრდილოეთ კავკასიის მთიულეთი,
ოსები და სხ შეუერთდნ ყაზახებს
და მათთან ერთად ებრძვიან ბოლ-
შევიზს.

— შიამუ ქრიალას. 27 ოქტომ-
ბერს, 10 საათზე ახალ ბაზარზე მე-7
კომისარიატის რაიონში ა. ბელიავე-
მა სასიკვდილოთ ხანჯლით დასჭრა
გალუსტოვი და ასლანოვი. პირველი
იქვე გარდაიცვალა. ასლანოვი მო-
თავსეს მიხვილ. საჯადმყოფოში.

— ხელკოვანა ქართულ სამუსიკო
საზოგადოება პარასკევს, 1 ნოემბერს
კონსერვატორიის დარბაზში ჰმარ-
თავს ფრიალ საყურადღებო კონ-
ცერტს.

— ბაღდათის ასტრანქანში. ცა-
რიცინში მოსულ ბოლშევიკების
რაზმს აუღია ასტრანქანი და აღუდ-
გენია საბჭოს უფლება. ერთ დღეში
დაუხვერტიათ 1819 კაცი.

— ადგილობრივი დამფუძნებელი
კრება. ადგილობრივში დაიწყო წი-
ნასწრი მუშაობა დამფუძნებელი კრე-
ბის გარშემო.

— გაძარცვა. 27 ოქტომ-
ბერს ღამით მალაქელიძის სახლში
(პრაჩე. ქ. № 3) შევიდა სამი შეი-
არაღებულ ბოროტ-გამზარახველი და
გაიტაცეს 400 მ. ფულათ და სხვა
ძვირფასი ნივთები.

— გაძარცვა. 28 ოქტომ-
ბერს, ღამით ანგლეთერის სახლში
(ოლგინის ქუჩა № 7.) პოლკოვნიკ
მილოვის ბინაზე მივიდა ორი უც-
ნობი ბოროტ-გამზარახველი. მილოვს
პირი ცხვირსახოცი შეუხვეს, გაი-
ტაცეს 5000 მანეთი და მიიშალენ.

— მკვლელობა და დაჭრა.
28 ოქტომბერს, დღის 2 საათზე
ორთავლაში ვ. ბარამიძემ რევოლ-
ვერით მოჰკლა მებადე ჯიქია. ტყვია
აგრეთვე მოხვდა იქვე მდგომ ერ-
ძეს და დაჭრა. ბარამიძე მიიშალა.

— გატარება. 26 ოქტომბერს და-
მით ალიხანოვის საწყობებიდან (გა-
მუსან. შესახ. № 1) შეიარაღებულ
ბოროტ გამზარახველებმა გაიტაცეს
60 ფუთი შაქარი.

— მკვლელობა. 27 ოქტ. პირველ
ლაზარეთის ქუჩაზე ნახეს მკვდარი
ღეში ივანე აბაზაშვილის. მკვლელი
ჯარის კაცი მე-5 ქართ. პოლკისა
მიხვილ მაჩიძე შეიპყრეს.

ფოთი.

ბათუმის დაკარგვის შემდეგ ბათუ-
მის მაგიერობას ფოთი სწევს. ქალა-
ქი სახსვა ხალხით.

ვის გინდა აქ არ შეხვედეთ: რუსი,
ბერძენი, სომეხი, ნემეცი და სხვა.
ქალაქში მრავლად აცხობენ პურს.
გირვანქა კოპანერატივებში მ მანეთად
ღირს. ისე კი 4 მ. და 50 კ.

გემები კვირაში ორჯერ გადის
რუსეთისაკენ.
თუ წინეთ ქალაქი სახსე იყო
განდობილიყო, დღეს იმდენი
სივიწროვე არ არის და შეტო თავი-
სუფლებდა.

ფუთი ფქვილი 60—70 მანეთია.
მატროსებმა აქ გახსნეს კოპანერა-
ტიული სასადლო. ასევე მოიქცენ
მუშები და რკინის გზის მოსამსახურ-
ებები.

ქალაქში სწავლა 20 ოქტომბერს
დაიწყო.
ქალაქის ქუჩები ისევ დაუწმენდე-
ლად უფუფთავებელია. არ ვიცით რას
უყურებს ქალაქის თვითმართველობა.
ჟია.

მრავალრიცხოვანი და მკურ- ნაობის მოგავალი ჩვენში.

საქართველო მკურნაობის და
მრეწველობის ქვეყანაა. ამ დარგების
განვითარებაზე დამოკიდებული ჩვენი
ქვეყნის მომავალი. მაგრამ, დღეს-
დღეობით ამ გარემოებას ნაკლები
ყურადღება აქვს მიქცეული.

უნდა გულახდილათ ვაღვიაროთ,
რომ ნამდვილი საქმიანობის დაწყება
ძალიან ზანტათ და ნელოს ნაბიჯით
მიმდინარეობს. თუ ჩვენმა ხალხმა
შეტი უნარი და ენერჯია არ გამოი-

ჩინა ხსენებულ დარგების ასაყვავე-
ბლათ, ჩვენი მდგომარეობა მუდამ
კრიტიკული იქნება. შეუძლებელია,
მთელი ჩვენი იმედები უცხო ქვეყ-
ნებზე დავაყაროთ. საქირაა, რომ
ჩვენი თვითონ სიგებათ გაცხარებულ
მუშაობაში. საქართველო იმდენით
ძლიერია ბუნებრივი სიმდიდრით,
რომ თითქმის ყოველივე მოთხოვნი-
ლებების დაკმაყოფილება შეუძლია
დამოუკიდებლათ. ყოველგვარი ხორ-
ბალი, მაღალი კულტურის მცენა-
რები (როგორც ჩაი, თამბაქო, ვაზი,
ხეხილი და სხვა) ჩვენში საუცხოოთ
ხარობს. ჩვენში ბლომათ მოიპოვება,
სამკურნალო მცენარეებიც.

საქირაა მხოლოდ ამ დარგების
განვითარების და აყვავების საქმეს
სათანადო ყურადღება მიექცეს.

საქართველო მდიდარია სხვადასხვა
მადანით. მაგრამ ჩვენი მოუშაღებ-
ლობის გამო ეს ეხლა ადგილობრი-
ვათ არ მუშავდება. ის გააქვთ უც-
ხოელებს და შემდეგ უკვე გადამუ-
შავებული შემოაქვთ ჩვენში.

ეს მდგომარეობა უნდა შეიცვა-
ლოს. სათანადო ყურადღება უნდა
მიექცეს ჩვენში ქარხნების და ფა-
ბრიკების მოწყობას.

ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის ოდნავი
გადახვევა საუცხოოთ ასაბუთებს იმ
აზრს, რომ ენერჯიული მუშაობით
ადვილათ შესაძლებელია მისი ეკო-
ნომიურათ დაწინაურება.

დღეს მთელი ქვეყნიერება საში-
ნელ ეკონომიურ კრიზისს განიცდის.
ომის შემდეგ დაიწება ბუმბერაზული
მუშაობა მხოლოდ ეკონომიურ
ცხოვრების შექმნის მოსაწყობათ,
გამოსამთვლებლათ. დაიწყება გაცხა-
რებული შეჯიბრება, კონკურენცია.

ცხადია, ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვებს
ის, ვინც უკეთ მოეწყობა ტენი-
კურათ, ვინც გაუმჯობესებული წე-
სებით მუშავდება მრეწველობას. თუ
გვინდა, რომ ჩვენი მრეწველობა
განვითარდეს, მაშინ შეტის ყურად-
ღებით უნდა მოვეპყრათ ადგილო-
ბრივ საჭიროებებს და საქვეყნო ბა-
ზარს.

მაგალითად, ისეთი ნაბიჯი რო-
გორც არის ქიათურის შავი ქვის
გადაწოდების ტარიფის გადიდება ფო-
თამდე 57 1/2 კაპიკით ხელს ვერ შე-
უწყობს მრეწველობის განვითარებას,
შეიძლება დიდათაც შეაფერხოს.
ნაცვლად 70,000.000 ფუთისა,
რომელიც გაქონდათ, გაიტანებენ
ქიათურიდან არა უმეტეს ათი
მილიონი ფუთისა, რადგანაც სხვა
უცხო ქვეყნებში უფრო ნაკლები
ტარიფის ქირა ვინემ ჩვენში. მაგა-
ლითად ბრაზილიაში, ჩილში, კუბა-
ში, ინდოეთში, ისპანიაში და სხვა-
გან გაცილებით უფრო იაფია. რაღა
თქმა უნდა ისინი ყოველთვის გა-
გვიწვევენ შეტოვებას ევროპის ბაზ-
რებზე და ჩვენზე იაფად გაყიდან.
ინდოეთში რკინის გზაზე 450 ვერსის
მანძილზე 4 1/2 კაპიკის შეტარ არ
იღებენ ფუთზე ჩვენ კი, 100 ვერსის
მანძილზე ქუთაისიდან ფოთამდე 57 1/2
კაპიკი გადასახადი დავაწესეთ, ეს
დიდი შეცდომაა. მომავალში ძლიერ
შეფერხდება შავი ქვის მრეწველო-
ბის განვითარება თუ ამ მდგომარე-
ობაში დარჩა ეხლანდელი ტარიფი.

საქირაა მეტი სიფხიზე—წინ-
დახედულობა, მეტი ენერჯია მეურ-
ნეობის და მრეწველობის ასაღორ-
ძინებლად. უნდა მოხდეს ძალგების
კოორდინაცია და შეერთებული ძა-
ლით განვითაროთ ჩვენი მრეწვე-
ლობა.

დღეს ცხოვრებამ დაგვისვა ათას-
ნაირი საკითხი. ისინი ენერჯიულ
და რადიკალურ გადაქრას მოითხო-
ვენ.

ჩვენ უნდა ვიდგეთ ჩვენი მოწო-
დების სიმალღეზე და შესაფერისათ
ვიმოქმედოთ.

შეაგაფიურე.

თბილისის ქალაქის საბჭო.

(28 ოქტომბრის სხდომა).

თავმჯდომარე ა. დამთათიძე
კრებას გახსნილათ აცხადებს. გამ-
გეობის მდივანი კითხულობს წინა
კრების ოქმს. ოქმი საბჭომ დაამ-
ტკიცა.

ა. დამთათიძე აცნობს კრებას
საქართველოსა და სომხეთის მთავ-
რობის შორის მომხდარ კონფლიქტს,
კითხულობს ყველა იმ ნოტებს, რომ
მეღნიც ამ ნიადაგზე ხსენებულმა ორ
მა მთავრობამ ერთი მეორეს ვადა-
უგზავნა და უკანასკნელათ კითხუ-
ლობს სომხეთის მთავრობის თავმ-
ჯდომარის კაზანუნისაგან ხელმო-
წერილ საპასუხო უკანასკნელ ნო-
ტას, სადაც ნათქვამია კორინჯის
დაცლის შესახებ და. გამთქმული
ამ სადაო საკითხის მშვიდობიანობის
გზით გადაჭრის სურვილი. ღამთა-
თიძე დარწმუნებულია, რომ ხსენე-
ბული კონფლიქტი არის ნაყოფი
მხოლოდ გაუგებრობის, რომ ორივე
სახელმწიფო მოწადინებულია ეს
საკითხი მშვიდობიანის გზით ვა-
დასჭრან.

იკვანინი (დაშნ.). ჩვენი ქალაქის
დემოკრატიული საბჭო მე, დარწმუ-
ნებული ვარ, ერთხმად გაიზარებს
თავმჯდომარის სიტყვაში გამოთ-
ქმულ სურვილს, რომ ეს კითხვა
მშვიდობიანი გზით დამთავრდება და
აღნიშნავს, რომ ის, რაც მოხდა
არის ნაყოფი მხოლოდ დიდი გაუ-
გებრობის, და მოუწოდებს საბჭოს
გამოსთქვას თავისი ღრმა რწმენა და
იმედი, რომ ეს კითხვა მშვიდობიანი
გზით გადაიჭრეს.

კოპაყა (ნ. დ.). ამბობს, რომ ქარ
თველ ხალხს და მის სახელმწიფოს
არ უნდათ ომი, სისხლის ღვრა და
ის სულ მუდამ ეცდება სხვა მეთო-
ბულ სახელმწიფოებთან მშვიდობიან-
ობის პოლიტიკა აწარმოვს. აღ-
ნიშნავს, რომ ის დიდი გაუგებრო-
ბა, რომელიც მოხდა სომხეთის მთა-
ვრობის მხრივ, ღრმა და თან საეუ-
ლისხმო ფაქტია და ისურვებს, რომ
ასეთ გაუგებრობას ჩვენს მუშობელ
სახელმწიფოებს შორის აწი მაინც
ადვილი არ ქონდეს; რომ სომხე-
თის მთავრობასაც მშვიდობიანი პო-
ლიტიკა ეწარმოებოდეს.

შემდეგ ის ლაპარაკობს იმ პოლ-
კოვნიკ კარალოვზე, რომელიც სუ-
ლიგანობისთვის, პროვოკატორობის-
სათვის განდევნილ იქნა საქართვე-
ლოს საზღვრებიდან და ეხლა კი
სომხეთის ჯარს მეთაურობს და მი-
სი წარმომადგენლის პირით გველა-
პარაკებო. ის მიპარათავს ადგილო-
ბრივ ხმოსან სომხებს მიიღონ ზო-
მები, რომ ასეთ კარალოვებს დე-
მოკრატიულ რესპუბლიკებში ადგი-
ლი არ ქონდეს.

(გაგრძელება შემდეგ).

სოსო ივანიძე.

კიდევ ძაძა... კიდევ კრებლები..
სამშობლო სცენას კიდევ მოაკლდა
ერთი საიმედო მუშაკი.. და ერთ-
გული მშრომელი წევრი

გარდაიცვალა სოსო ივანიძე ოთხ
შაბათს 23 ოქტომბერს საავადმყო-
ფოში „ისპანკით“ 5 დღის ავთამყო
ფობის შემდეგ.

აღარ არის სოსო...

ივანიძე იყო აღმასრულებელი შო-
ხუც რეზანიორების როლისა და ამ
მხრივ ხშირათ დაუვიწყარ შთაბეჭ-
დილებას ახდენდა ხალხზე.

საქმარისია გავისხენოთ მისი „გი-
ორგი სააკაძე“, რომ ჩვენი სიტყვა
გადაქარბებულიათ არ ჩაითვალს.

სოსო პირველათ სცენაზე გამო-
ვიდა ამ თვრამეტი წლის წინათ და
მას შემდეგ განსვენებული პირნათ-
ლად და გულმოდგინეთ ემსახურე-
ბოდა სამშობლო სცენას.

ზოგიერთ უბნებში მან საძირ-
კველი ჩაუყარა ქართულ აუდიტო-
რიებს და დაარსა სცენის მოყვარე-
თა ჯგუფები.

ბულ-ნათარგმნი პიესები. ის წერდა
ივანიშვილის თსელონიძე.
1905 წ. სენოანსწერ. გაწესოს
სცენდა. მერი სენოანსწერ. სენოანსწერ.
ბულ სიტყვიანი, მესაუბრე.
სრულიად მოულოდნელი იყო
მისი გარდაცვალება.

და სამწუხარო ის არის, რომ
ერთგული მუშაკი ვერ ვლირსა თა-
ვისი ნაშრომის მომას.

26 ოქტომბერს სოსოს გვამი
მიგაბარეთ მიწას „პეტრე-პავლეს“
სასაფლაოზე.

უძკრფასესო სოსო!.. ვიდრე ქა-
რთული სახიობა იარსებებს. არც
შენი სახელი წაიშლება ქართულ
თეატრის მოღვაწეთა გულში.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი.
განვისენე მშვიდით, კეთილო, უწ-
ყინარო სოსო!!

მ. ფრანგიშვილი

წერილი რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგ-
ვცეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის
საშუალებით უღრმესი მადლობა გა-
მოუცხადო ყველა იმ პირო, რომელ-
თაც თავისი წვლილი გამოიღეს და
ერთდროული დამარების სახით შე-
მოსწირეს ვერტყვილის-ქალის უფა-
სო წიგნთსაცავსამკითხველს:

ლიუბა ომ. ციციშვილი — 5 მან-
ნეთი, როსტომო აბაშიძე 3 მან.,
მღ. მოსე ვეფხვაძე 3 მან., სიმონ
გოგოლაძე 3 მან., გიორგი ბლია-
ძე 3 მან., ბიქტორ ლომიძე 3 მ.,
ალექსანდრე ლომიძე 3 მ., ვასლ
გელაშვილი 3 მ., შალიკო ბლიაძე
3 მან.

დათოკო ციციშვილი 2 მან.,
ნოე ამუშვილი 2 მ., ივანე დავ.
ციციშვილი 2 მ., დათა მუმლაძე
1 მან., ალექსი ხაჩიძე 1 მან., ალექ-
სი ბარბაქაძე 50 კაპ., ერმინე გო-
გოლაძე 50 კაპ..

შემოწირულ იქნა წიგნები:
მღედ. იოანე ციციშვილისაგან
28 ცალი, სევერინა ციციშვილი-
საგან 9 ცალი, თამარა ბეს. ციცი-
შვილისაგან 8 ცალი.

რომოდენიმე ფურცელი ქალღე-
ბი ქიმიონა ციციშვილისა და
გიორგი გოგოლაძისაგან. სამკითხვე-
ლოსათვის საქირა წვრილმანი ნივ-
თები სევერინასაგან და სხვა.

აგრეთვე დიდი მადლობა გამოეც-
ხადოს მალაქია გოგოლაძეს იმისათ-
ვის, რომ მან წარსულ წლის ენკე-
ნისთვის დღეებში სამკითხველს სა-
სარგებლოდ გამართულ წარმოდგე-
ნისათვის უფასოდ დაგვითმო თვისი
შენობა.

საქ. წერია ანტ. ციციშვილი.

პ რ ო შ ი ნ ს ი ა

ონ ტ ო ფ ო ს საზ. (აბაშის რაი-
ონი) ამ სოფელში გავრცელებულია
ახალი ავთამყოფობა „ისპანკა“ ხში-
რია სიკვდილი.

— მოსავალი წელს გვარიანია,
მხოლოდ ქარმა ცოტა ზიანი მი-
ყენა ჩალებს.

— მღვდლების გაფიცვას, ხალხი
შეგნებულად დახვდა. როდესაც ისინი
გაფიცული იყვნენ, მკვდრებს სამო-
ქალაქო წესით ასვენებდნ. საერთო
კრებაზე ადგილობრივმა მღვდლებმა
მოითხოვეს, რომ ხალხს მიეღო გა-
დაწყვეტილება სკოლებში საღვთო
სჯულის სავალდებულო სწავლების
და მათ ხაზინიდან ჯამაგირის მიცე-
მის შესახებ. ხალხმა მათ ამ მოთ-
ხოვნაზე უარი უთხრა. საერთო
ჩვენსკენ მოუდლებს ხალხი უნდობ-
ლობის თვლით უყურებს.

ესერი ა. დ.

სარედაქციო კოლეგია.
გამოკვეთილი—ცენტრალური
კომიტეტი.